ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ათონელი
(მთაწმინდელი)

კრებული

გიორგი ათონელი (მთაწმინდელი)

კრებული

გეორგი

განსაკრთომელთა ღმრთისა საქმეთა წიგნი, ემბაზით მადლთაჲ აღმომშობელი ჩუენი, ოჳტკივრად გაქუს ოფლით ნამუშაკევი. რომელთა გწყურის სუემდით წყალსა ცხოველსა გარნა ჩემდადცა იოხდით, რომლისასა იტყჳან თავნი სტიხოსთანი სახელსა.

ქებით დიდებაჲ

[თავნი და ბოლონი იტყჳან: ”ქრისტე

შეიწყალე ცოდვილი გეორგი ა[მინ”]

ქებით დიდებაჲ შენი თანა გუაც, რომელი მჳსნელმან ქრისტემან ჩინებულ გყო ისრად ელვისად, ენად ცეცხლისად, სამებისა დიდებაჲ ღმრთისმეტყუელ ჰყავ; ტომთა და ნათესავთა შთააცუ ნათელი; ეკლესიაჲ ჰყავი შენ ამაღლებულ; შაბათნი დაჰჳსენ, დააცხრვე შჯული, ერთ-არსებისა ბრწყინვალე ქადაგ! იოტე ბნელი, მტერი დასთრგუნე,

წესთა ზესკნელთა წარჰჳედ, წმიდაო! ყოველთა ღმრთისა პირისპირ მდგომ ხარ, აღქუმული იგი გჳრგჳნი დაგუადგ. ლმობიერ ყვენ გულნი ჩუენნი ფიცხელნი, ერთბამად მკჳდრ მყვენ სასუფეველსა.

ქებაჲ პავლესი

[თავნი იტყჳან: ”დაესრულა პავლე”]

დიდებულო ქრისტეს მოციქულთა თაო! ახალსა ამას ერსა საღმრთოსა, ეკლესიისა ნესტუად ჴმატკბილად, საღმრთოჲ შჯული დაგჳმტკიცე, ნეტარო; რამეთუ ძირი უღმრთოებისაჲ განჰფხუარ უმაღლეს, უფროჲს ცათა მაღალთა; ლირწებაჲ ჰურიათაჲ დაანთქ ქუესკნელთა, აჰჳედ სამ ცამდე, ღმრთივ სწავლულ იქმენ, პირნი ბრძენთა მათ ზუავთანი დაჰჳშენ; აცხოვნენ კაცნი, იჳსენ სოფელი, ვითარცა მზე რაჲ აღავსე სოფლით.

ლოცვით მადლობაჲ ღმრთისაჲ მოგუმადლე, ეშმაკთა მტერთა საბრჳენი დაჰჳსნენ.